ქართული ანიმაციური ფილმები

ფრაგმენტის გახმოვანება

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

აქტივობა N 1

მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვას, რა არის ანიმაციური ფილმი. მასწავლებელი მათ პასუხებს წერს დაფაზე. შემდეგ კი ქვემოთ მოცემული მასალიდან

ქართული ანიმაციის აწმყო და მომავალი - რა შეცვალა დრომ და რა მოთხოვნებს უყენებს XXI საუკუნე ქართულ ანიმაციას - სტუმარი: ნანა სამანიშვილი - სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების პროფესორი - 1TV

თანამედროვე ქართული ანიმაცია - ახალი თაობის ანიმატორები და მაყურებელი. ვინ და რა განსაზღვრავს დღეს მულტფილმის პოპულარობას,

აქტივობა N 2

მასწავლებელი მათი ინტერესების მიხედვით შეურჩევს და უჩვენებს საინტერესო ნაწილებს.

შემდეგ ნახულობენ ვიდეოს, სადაც ნაჩვენებია ანიმაციის გახმოვანების პროცესი.

აქტივობა N 3

მასწავლებელი უჩვენებს ქართული ანიმაციური ფილმების ერთ ან მეტ ფრაგმენტს გახმოვანების გარეშე და მოსწავლეთა წყვილები შექმნიან და ჩაიწერენ ტელეფონზე გახმოვანების თავიანთ ვერსიას[1], მაგალითად,

- ქართული ანიმაციური ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“ // 08:47-09.40 //

- ქართული ანიმაციური ფილმი „თერძი ბესო“ // 02:56-02.35 //

გაკვეთილის ბოლოს, ჯგუფები, სურვილის მიხედვით, წარადგენენ ნამუშევარს და იმსჯელებენ.

1) [1] კენჭისყრით შეხვდებათ მოკლე ფრაგმენტები ქართული ანიმაციიდან (გახმოვანების გარეშე), რომლებსაც მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს. წყვილში იმსჯელებენ მათ გახმოვანებაზე, წინასწარ განსაზღვრავენ, როგორი მუსიკა შეესაბამება ამ სცენას. და ეცდებიან, თავად გააფორმონ ხმით, საკრავით, არსებული ნივთების ხმოვანებით, ჩაწერილი ხმების გამოყენებით.